ინტიმური პარტნიორის ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობა: შფოთვა, დეპრესია და თვითშეფასება

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი - ნინო ჯავახიშვილი

სტუდენტი - თამარ გულისაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გულისაშვილი

19.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება ინტიმური პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ძალადობის (ემოციურ-ვერბალური შეურაცხყოფა, დომინირება-იზოლაცია, ფიზიკური, სექსუალური და ეკონომიკური) მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესწავლას, კერძოდ, ვიკვლიე მსხვერპლ ქალებში შფოთვა, დეპრესია და თვითშეფასება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40-მა სრულწლოვანმა ქალმა, რომლებსაც ერთხელ მაინც განუცდიათ ინტიმური პარტნიორისგან ძალადობის ერთი ფორმა მაინც. ქალების მიერ ძალადობის ფაქტების გამოცდილების გამოკვეთა მოხდა გენდერული ძალადობის საზომი კითხვარის გამოყენებით, რომელიც ძალადობის ხუთივე ფორმას აერთიანებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძალადობასა (ემოციურ-ვერბალური შეურაცხყოფა, დომინირება-იზოლაცია, ფიზიკური, სექსუალური და ეკონომიკური) და მსხვერპლ ქალებში შფოთვასა და დეპრესიისკენ მიდრეკილებას შორის დადებითი, ხოლო ძალადობასა და თვითშეფასებას შორის უარყოფითი კავშირია. ასევე, მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებაში ძალადობის სახეებიდან დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ძალადობა, კერძოდ, დონიმირება-იზოლაცია და ემოციურ-ვერბალური შეურაცხყოფა, რომელთა შედეგია შფოთვის მაჩვენებლის გაზრდა და დეპრესიისკენ მიდრეკილება. დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას კი პროგნოზირებს სექსუალური და ეკონომიკური ძალადობის სახეები. კვლევის შედეგების მიხედვით, ფიზიკური ძალადობა და წარმოდგენილი დემოგრაფიული მონაცემები - ასაკი, განათლება და შემოსავალი, როგორც პრედიქტორი ცვლადები, არ პროგნოზირებენ შფოთვას, დეპრესიასა და თვითშეფასებას ინტიმური პარტნიორის ძალადობის მსხვერპლ ქალებში.

საკვანძო სიტყვები: ინტიმური პარტნიორის ძალადობა, ძალადობის მსხვერპლი ქალები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, შფოთვა, დეპრესია, თვითშეფასება.

Abstract

The present study examines the mental health of women who are the victims of intimate partner violence (emotional-verbal abuse, domination-isolation, physical, sexual, and economic violence). Specifically, I researched anxiety, depression, and self-esteem in female victims. The study included 40 adult women who had experienced one form of violence at least once from an intimate partner. To identify the experiences of violence against women the Gender Violence Measurement Questionnaire was used, which combines all five forms of violence. The study result demonstrated that there is a positive correlation between violence (emotional-verbal abuse, dominance-isolation, physical, sexual, and economic) and a predisposition towards anxiety and depression in victims, while a negative relationship has been detected between violence and self-esteem within the same focus group. In particular, the research indicated that psychological violence plays a major role in the deterioration of the mental health of victims; domination-isolation and emotional-verbal abuse, are the consequences of increased anxiety and a tendency towards depression. The various types of sexual and economic violence predicted the formation of low self-esteem. According to the results, demographic data (age, education, income) and physical violence as predictor variables - do not prognosticate anxiety, depression, and self-esteem in female victims of an intimate partner.

Keywords: Intimate partner violence, Women victims of violence, Mental health, Anxiety, Depression, Self-esteem.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს, რომელიც მუდმივად ჩართული იყო ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე. მისი მხარდაჭერისა და ღირებული უკუკავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულება.